შემოდგომის ფოთლების პალიტრა, ანუ ურავის სკოლის მოსწავლეთა საფიქრეთი

რაჭა... მდინარე ლუხუნის ვიწრო ხეობა... ამ ხეობის ბოლო, ნახევრადდაცლილი სოფელი ურავი... დაკეტილი სახლებით, „მოწყენილი“ სკოლის შენობით, მაგრამ კარგი სიახლით - სკოლაში წელს „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამით ახალი ხელოვნების მასწავლებელი ჰყავთ, ქალბატონი თამარ ადამია.

როდესაც ამ წერილს ვამზადებდი ძალიან თვალშისაცემი იყო სევდა, რაც თამარს ძალიან აწუხებდა... მან ახსნა, რომ ამის მიზეზია ის, რაც ურავის სკოლის მოსწავლეებმა მას უამბეს: **„ჩვენს სოფელში სახლების უმეტესობა დაკეტილია, ბევრი სახლიც დაინგრა, სკოლაში პროექტი დავწერეთ „რამდენი წელი იცოცხლებს ჩვენი სოფელი“ და ჩვენი გამოანგარიშებით მხოლოდ 32 წელი იცოცხლებს; ასე გამოგვივიდა გამოთვლებით...“** თამარმა აქვე აღნიშნა - „იმედი მაქვს ბავშვების ეს ვარაუდი არ გაამართლებს, და ქვეყანა მოახერხებს შეიმუშაოს მაღალმთიანი სოფლების გადარჩენის პროექტები“.

ქალბატონი თამარი პროფესიით ბავშვთა ფსიქოლოგიცაა და ხელოვნების მასწავლებელიც. წლების განმავლობაში მუშაობდა ფსიქოლოგად, ხელოვნების პედაგოგად თბილისის სხვადასხვა სკოლაში. აქვს ტრენერად მუშაობის დიდი გამოცდილება. ის საბავშვო მწერალია და თხუთმეტამდე საბავშვო წიგნის ავტორი. **მას რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ:**

1. **საინტერესოა რამ გადაგაწყვეტინათ ამ პროგრამაში მონაწილეობა?**

,,ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის შესახებ ბევრი რამ მსმენია და ყოველთვის მომწონდა. მაგრამ კონკურსი ხელოვნების მასწავლებლებისთვის პირველად წელს გამოცხადდა. ესაა პროგრამა, რომელიც სასიკეთო საქმეს აკეთებს საქართველოს მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ბავშვებისთვის და პედაგოგებისთვის, რათა მოსწავლეემბა მიიღონ სრულფასოვანი განათლება, ხოლო სოფლის პედაგოგებმა - მეტი სიახლე პედაგოგიურ საქმეში. პირადად მე ეს პროგრამა მაძლევს საშუალებას ვიმუშაო პროფესიით, მქონდეს სტაბილური შემოსავალი და თავისუფალი დრო... რათა შევქმნა ახალი ზღაპრები და მოთხრობები ბავშვებისთვის ვიცხოვრო საქართველოს ულამაზეს მაღალმთიან სოფელში, სადაც ტყეში შეიძლება გადააწყდე

კურდღელს, წაბლის ხის ძირას - დათვის ნაკვალევს, ყინვიან ღამეს მოისმინო ტურებისა და მგლების ყმუილი, დილით კი გაიგო ახალი ამბავი: თუ ვის დაუნგრია სათიბში დათვმა ბელებთან ერთად თივის ზვინი, როგორ მოხერხებულად იპარავს საქათმიდან სინდიოფალა თუ მელა ქათმებს; მოისმინო მდინარე გუგუშურაში ჩადგმული საგვარეულო წყლის წისქვილების რახრახი და თავი წარმოიდგინო ორი საუკუნით უკან... ვმუშაობ და გამოსაცემად ვამზადებ ორ საგანმანათლებლო წიგნს, სადაც თვალსაჩინოების სახით ურავის სკოლის მოსწავლეების შემოქმედებაც შევა.

2. რას გვეტყვით იმ სკოლის შესახებ, სადაც ამჟამად მოღვაწეობთ?

ურავის საჯარო სკოლა, სადაც ამჟამად „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამით კონსულტანტ მასწავლებლად მომავლინეს, მცირეკონტიგენტიანია. მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ურავში. გარდა კონსულტანტობისა, ხელოვნებას ვასწავლი. სოფელი ზღვის დონიდან 1100 მეტრზე მდებარეობს, სადაც მკაცრი კლიმატური პირობების გამო სკოლა 15 სექტემბრიდან შეშის ღუმელებით თბება. არ ფუნქციონირებს მესამე და მეხუთე კლასი, პირველ კლასში ორი მოსწავლეა, მეორეში - ერთი, მეოთხეში - ერთი, მეექვსეში - ოთხი, მეშვიდეში - ერთი და ა.შ. სკოლაში სულ 30 მოსწავლეა. სკოლის დირექტორია ქალბატონი ნანა კერესელიძე. ურავის საჯარო სკოლა 1957 წლიდან ფუნქციონირებს. სკოლა გათვლილია 464 მოსწავლეზე, მოსწავლეთა რაოდენობას სკოლა არ უჩიოდა იმ წლებში, როცა მუშაობდა ,,რაჭის სამთო ქიმიური ქარხანა“, მაშინ სკოლაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმიც კი ფუნქციონირებდა. ამჟამად სკოლაში 13 პედაგოგი მუშაობს. სკოლას მიღებულ აქვს გრანტი, მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ეკოლოგიურ პროექტებში და სხვადასხვა ტურნირებში. სკოლა აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. მოსწავლეებს აინტერესებთ, ვიმუშავებ თუ არა სასწავლო წლის ბოლომდე, მეორე სასწავლო წელსაც და გულწრფელად და დიდი სიყვარულით მთავაზობენ სულ მათთან დარჩენას.

3. როგორია თქვენი მოსწავლეების დამოკიდებულება იმ საგნის მიმართ, რომელსაც ასწავლით და იმ მიდგომების მიმართ, რასაც სთავაზობთ მათ?

მოსწავლეები გაკვეთილებს შორის დასვენებასაც ხელოვნების კაბინეტში ატარებენ, მოაქვთ ბუნებრივი მასალა, ახალი იდეები. გაკვეთილების გარდა, ხელოვნების წრეზე დადიან. ვცდილობ მოსწავლეებს ვასწავლო ბუნების გაფრთხილება, განვუვითარო ფანტაზია, ნებისყოფა, წარმოსახვა, ვაზიარო მსოფლიო ხელოვნებას. პრაქტიკულ გაკვეთილებზე კი ვცდილობ მათ თავი შემოქმედებად ვაგრძნობინო, მინდა ვასწავლო ემოციების ნამუშევრებში გადატანა, სრულიად უსარგებლო ნივთებისთვის მეორე სიცოცხლის ჩადგმა; მსურს გავხადო კრეატიულები და ვასწავლო მომავალში სიძნელეების გამკლავება. ნოემბრის ბოლოს მოვამზადეთ საშემოდგომო გამოფენა,

სადაც კომპოზიციები გამხმარი ფოთლებით, ხავსებითა და კენჭებით წარმოვადგინეთ .

გაზაფხულისთვის ვამზადებთ ფოტოგამოფენას სახელწოდებით ,,ჩემი სოფელი“. წარმოდგენილი იქნება: სოფლის პეიზაჟები, სოფლის ადამიანები, ცხოველები და ყოველდღიური სოფლის ცხოვრების ფოტოები. გამოფენებზე მოვიწვევთ სოფლის მაცხოვრებლებს.

მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავე პროექტი, რომლის ფარგლებშიც ერთად ვიღებ დაკეტილი სახლების ფოტოებს, გვინდა ფეისბუქით ინტერნეტგამოფენის მოწყობა, სახელწოდებით ,,მიტოვებული სახლები“, სადაც საქართველოს ყველა კუთხის სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვებიან და სოფლის მიტოვებული სახლების ფოტოებს განათავსებენ. ეს იქნება დამაფიქრებელი ფოტოგამოფენა, თუ რაოდენ სავალალო მდგომრეობაშია დღეს სოფლები, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლები.

გაზაფხულზე თემთან ერთად დაგეგმილი გვაქვს სოფლის ნაგავსაყრელის მოწყობაც.

2. **როგორია თემი, რომლის სკოლაშიც ასწავლით, რამდენად ხედავთ სოფლის დაცლის საფრთხეს?**

სოფელი ურავი დღემდე დარიშხნის გადამამუშავებელი ქარხნით დაბინძურებული ტერიტორიების კონსერვაციას ცდილობს. სამწუხაროდ, სოფელში მდებარეობს დარიშხნის ნარჩენების სამარხი. ამჟამად მიმდინარეობს ქარხნის ნაგებობების დემონტაჟი და ჩაბეტონება, რათა ის უვნებელი გახდეს. დასაქმების პრობლემების მოუგვარებლობა ადამიანებს იძულებულს ხდის, დატოვონ მშობლიური სოფელი და ქალაქს მიაშურონ. ამიტომაც სოფელი ურავი დაცლის პირასაა.

3. **გთხოვთ გაგვიზიაროთ ის ემოციები, რასაც გულწრფელად გამოხატავენ თქვენი მოსწავლეები თქვენს გაკვეთილებზე.**

მოსწავლეები ხშირად აღნიშნავენ:

ხელოვნების გაკვეთილებზე აღმოვაჩინე, რა ლამაზი ფოთლებია თურმე ჩემს სოფელში... გირჩას თუ კენჭებს მივაწებებ ნამდვილ ბუს ემსგავსება... ძეწნის და ალვის ხის ფოთლებით თევზები და ლიფსიტები დავამზადე.... თხილის ფოთლებით გომბეშო... მაყვლის ფოთლებით პეპლები და მელა... არ მეგონა, პლასტიკატის ბოთლებით საფანქრე ან კურდღელი თუ გამოვიდოდა.

- ასეთ სურათს ჩემი ოთახისთვისაც დავამზადებ, - აღფრთოვანებული მეუბნება **ხატია.**
- **მაიკოს** კი პლასტიკატის ბოთლისგან ყვავილივით გაფურჩქნული საფანქრე დაუმზადებია და ფიქრობს, კიდევ რა დაამზადოს, რომ მასწავლებელი და თანატოლები გააკვირვოს.

- როცა უნივერსიტეტს დავამთავრებ, ისევ სოფელში დავრუნდები, მასწავლებელი ვიქნები, თანაც უკვე მოვიფიქრე, ხელოვნების მასწავლებელი გავხდები, - თავის აზრებს მიზიარებს **ლანა.**

რაჭა... მდინარე ლუხუნის ვიწრო ხეობა... ამ ხეობის ბოლო, ნახევრადდაცლილი სოფელი ურავი... დაკეტილი სახლებით, „მოწყენილი“ სკოლის შენობით, მაგრამ კარგი სიახლით - სკოლაში წელს „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამით ახალი ხელოვნების მასწავლებელი ჰყავთ, ქალბატონი თამარ ადამია.

მასალაზე მუშაობდა მანანა ბოჭორიშვილი